



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №15/47

2017 წლის 29 ივნისი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებით დავალების დამტკიცებისა და სარეკრეაციო ზონის შეცვლის მოთხოვნით ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს 2017 წლის 23 სექტემბერს განცხადებით, მიმართა ფიზიკურმა პირმა ვახტანგ ალანიამ (წარმომადგენელი მონიკა რუხამე).

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა ხორციელდება ორ ეტაპად, რომელთაგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი ადმინისტრაციული წარმოება. მხოლოდ პირველი ეტაპით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შესაძლებელია შემდგომი ეტაპის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება.

დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს შესაბამისი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს გამოსცემს საკრებულო.

ამდენად, ადმინისტრაციული წარმოების პირველი ეტაპი განახორციელა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეს კოდექსი განსაზღვრავს

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის წესს. ამავე, კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მარტის №8/23 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს დაევალა ადმინისტრაციული წარმოების დროს საქმის ყველა არსებითი გარემოების გამოკვლევა.

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარებისათვის საჭირო რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №632 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მალთაყვის უბნის განვითარებისათვის დანართში წარმოდგენილი დასაგეგმარებელი ტერიტორიის საორიენტაციო საზღვარში განაშენიანების რეგულირების გეგმის დოკუმენტაციის შემუშავება. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, უნდა უზრუნველყოს ამ განკარგულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება 2018 წლის პირველ იანვრამდე. ამდენად, მიზანშეწონილია აღნიშნულ ეტაპზე არ მოხდეს ფიზიკური პირის ვახტანგ ალანიას (წარმომადგენელი მონიკა რუხამე) 2016 წლის 23 სექტემბრის განცხადების დაკმაყოფილება და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიძარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცება.

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვეყნის მდგრადი განვითარების, მისი კავკასიური, ევროპული და მსოფლიო ინტეგრაციის უზრუნველყოფისათვის სივრცითი მოწყობა და ქალაქთმშენებლობა ხორციელდება შემდეგი პრინციპით-შენარჩუნდეს და განვითარდეს სარეკრეაციო ტერიტორიები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. ადმინისტრაციული წარმოებისას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანოებს უფლება არა აქვთ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) შენარჩუნდეს სარეკრეაციო ზონა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი ითხოვს საკრებულომ მიიღოს განკარგულება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიძარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ფიზიკურ პირს ვახტანგ ალანიას (წარმომადგენელი მონიკა რუხამე) უარი ეთქვას 2016 წლის 23 სექტემბრის განცხადების დაკმაყოფილებაზე და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე, მალთაყვის უბანში, გურიის ქუჩის მიმდებარედ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №04.02.11.641) სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (ნიჩბოსნობა, ბაიდარები და აფროსნობა) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) გეგმარებითი დავალების დამტკიცებაზე.

მუხლი 2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 29 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი,
თავმჯდომარის მოადგილე

აკაკი დარჯანია